ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს კოსმონავტიკის დღეა. დიდება საბჭოთა კოსმონავტებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 71 (3048)
1966 წ. 12 აპრილი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი



## 9 მატჩში მხოლოდ 15 გოლი

10 აპრილს დაიწყო სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატი. ჩვენი ქვეყნის 9 ქალაქში შედგა პირველი მატჩები და ამ სადებიუტო ტურში გატანილ იქნა 15 გოლი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა — მოსკოვის „ტორპედომ" პირველი ქულა დაკარგა ტაშკენტში, სადაც ადგილობრივ „პახტაკორს" ეთამაშებოდა. მართალია, ანგარიში გახსნა მოსკოველმა მიხაილოვმა (ეს იყო XXVIII ჩემპიონატის პირველი გოლი), მაგრამ კაზაკოვმა გაიტანა საპასუხო ბურთი და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

სამ შეხვედრაში ანგარიში საერთოდ არ გახსნილა. 0:0 — ასე ითამაშეს „კაირატმა" — ცსკა-სთან, „ნეფტიანიკმა" — მინსკის „დინამოსთან" და „არარატმა" — „კრილია სოვეტოვთან".

**I ტური**

„ჩერნომორეცისა" და „ლოკომოტივის" მატჩის ბედი გადაწყვიტა ოდესელი მოსკალენკოს მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა — 1:0.

როსტოვის არმიელთა თავდამსხმელმა მატვეევმა 2 ბურთი გაიტანა „შახტიორის" კარში (მატჩი მიმდინარეობდა დონეცკში) და გამარჯვება სტუმრებს დარჩათ — 2:0.

უველაზე დიდი ანგარიში აღინიშნა კიევის სტადიონზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და ლენინგრადის „ზენიტი". ანგარიში გახსნა პარკუიანმა, რასაც მოყვა „ზენიტის" მცველის ნეპომილუევის მიერ საკუთარ კარში გატანილი მეორე გოლი და ბიშევეცის 2 ზუსტი დარტყმა. სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონმა მატჩი მოიგო — 4:0.

თბილისის დინამოელებმა დაამარცხეს მოსკოველი თანაკლუბელები (2:0), ხოლო ქუთაისის „ტორპედომ" შინ წააგო მოსკოვის „სპარტაკთან" — 1:3.

ამრიგად, ჩემპიონატში უკვე არის დიდი ანგარიშით მოგებული მატჩი (4:0), არიან სნაიპერებიც (მატვეევი, ბიშევეცი).



თბილისის დინამოელთა კაპიტნის — შ. იამანიძის სიხარული გასაგებია: მისმა კოლეგამ კ. ასათიანმა ეს-ესაა მეორე ბურთი გაგზავნა მოსკოველთა კარში. ანგარიში გახდა 2:0...

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## [illegible] საათი...

◆ **ნიუ-იორკი,** 11 აპრილი. 40 წლის ამერიკელმა მფრინავმა ქალმა ჯერი მოკმა ექვსადგილიანი ხრახნიანი თვითმფრინავით „ცესნით" სტარტი აიღო ჰონოლულუში, დაფარა 7320 კმ და დაეშვა ქალაქ კოლუმბუსში (ოგაიოს შტატი). ეს შორეული დაუჯდომელი ფრენის ახალი მსოფლიო მიღწევაა ქალთათვის. ძველმა რეკორდმა (5908,610 კმ), რომელიც დაამყარეს საბჭოთა მფრინავებმა ვ. გრიზოდუბოვამ, პ. ოსიპენკომ და მ. რასკოვამ, 28 წელს იარსება.

◆ ალჟირი, 11 აპრილი. „იბნ ჰალდუნის" სპორტულ დარბაზში გაიმართა საბჭოთა ძალოსნების საჩვენებელი გამოსვლა. მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა ვ. კაპლუნოვი, ე. ბროვკო, ვ. ბელიაევი. მაგრამ განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია ოლიმპიური ჩემპიონის ლ. ჟაბოტინსკის გამოსვლამ. მან პირველ მისვლაზევე აჭიმა 170 და აკრა 190 კგ.

◆ **მოსკოვი, 11 აპრილი.** კრივის საკავშირო ფედერაციამ დეპეშით აცნობა აშშ-ის მოყვარულთა ათლეტურ კავშირს, რომ იგი თანახმაა ივნისის თვეში ამერიკის შეერთებულ შტატებში სამ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და სსრ კავშირის ეროვნული ნაკრები გუნდები. ასე რომ, ამ ორი ქვეყნის მოკრივეები ერთმანეთში პირველად იასპარეზებენ არაოლიმპიურ რინგზე.

◆ სანტ-იაგო, 11 აპრილი. ჩილის ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ცუდი მასპინძლობა გაუწია შვეიცარიელ სტუმრებს — „სიონის" გუნდს. ჩილიელებისთვის ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პროგრამის ერთ-ერთი ნაწილი — საკონტროლო შეხვედრა. მასპინძლებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 5:0.

## ნუთუ ფაიმები დაიწყო?..




**მოსკოვი,** 11 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს ესტრადის თეატრში გაიმართა მსოფლიო პირველობაზე ტ. პეტროსიან — ბ. სპასკის საჭადრაკო მატჩის პირველი პარტია. მოწინააღმდეგეებმა გაითამაშეს კარო-კანის დაცვა. შუა თამაშის დროს, როცა მოსალოდნელი იყო პარტიის რთული და საინტერესო გაგრძელება, ორივე მხარემ მოულოდნელად არჩია ფიგურათა მრავალრიცხოვანი გაცვლა. და აი, დაფაზე დარჩა მხოლოდმხოლოდ ლაზიერები, და 37-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

### პირველი პარტია

ბ. სპასკი — ტ. პეტროსიანი

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6. 2. d4 d5, 3. მხc3 de, 4. მხ:e4 კf5, 5. მხg3 კg6, 6. h4 h6, 7. მხf3 მხd7. 8. კd3 კ:d3, 9. ლ:d3 ლc7, 10 კd2 e6, 11. 0—0—0 0—0—0, 12 c4 მხgf6, 13. მფb1 c5, 14. კc3 cd, 15. მხ:d4 a6, 16. მხf3 კc5, 17. ლe2 კd6, 18. მხe4 კe7, 19. მხ:f6 კ:f6, 20. კ:f6 მხ:f6, 21. მხe5 ე:d1+, 22. ე:d1 ეd8, 23. ე:d8+ მფ:d8, 24. ლd3+ მფe7, 25. ლd4 h5 26. a3 მხd7, 27. მხ:d7 ლ:d7. 28. ლc5+ ლd6, 29. ლg5+! მფe8, 30. ლe3 ლc6, 31. ლg3 g6, 32. b3 ლe4+, 33. მფb2 e5, 34. ლe3 ლ:g2. 35. ლ:e5+ მფf8, 36. ლh8+ მფe7, 37. ლe5+. შეთანხმდნენ ყაიმზე.




ПРАВДЫ

## პიონერთა პარკის მიდამოებში

**ბათუმი,** 11 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ პიონერთა პარკის მიდამოებში გაიმართა აჭარის პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნურ კროსში „პრავდის" პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა „სპარტაკის", „დინამოს", „კოლმეურნის", „ბურევესტნიკის", „ლოკომოტივის", „განთიადისა" და „შრომითი რეზერვების" 160-ზე მეტი საუკეთესო მძლეოსანი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვა „ბურევესტნიკმა", II ადგილზე გავიდა „სპარტაკი", III — „განთიადი".

პირად პირველობაში ცალკეულ დისტანციებზე რბენაში ყველას აჯობეს: 1.000 მ გოგონათა შორის — ლ. ხონელიძემ („ლოკომოტივი") — 4.01,6 (მას მცირედ ჩამორჩნენ სპარტაკელები ნ. დუმბაძე და მ. რუხაძე), 2.000 მ ქალთა შორის გ. თავბერიძემ („სპარტაკი") — 9.50,0; 3.000 მ ვაჟთა შორის — ი. დოლგოვმა („დინამო") — 10.30,0, ხოლო 8.000 მ — ა. სურმანიძემ (ქედა, „კოლმეურნე") — 30.38,6.

ო. მურვანიძე.

## გუშინ...

**თბილისის** „დინამოს" სტადიონზე დაიწყო საქართველოს ქალაქების მატჩი მძლეოსნობაში. ასპარეზობაში მონაწილეობენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმისა და გორის საუკეთესო სპორტსმენები. პირველი დღის მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია თბილისელი ლამარა ტუღუშის შედეგი. ბადროს ტყორცნაში მან აჩვენა 49,97 მ, რაც აღემატება სპორტის ოსტატის ნორმას და საუკეთესოა რესპუბლიკაში წლეულს. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა თბილისის ნაკრები.

## საბჭოთა ფეხბურთელთაგან პირველი...

მოსკოვი, 11 აპრილი (ტელეფონით). როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ლონდონში გამგზავრებამდე საკონტროლო შეხვედრებს გამართავს. საბოლოოდ დაზუსტდა ამ თამაშების დღეები: შვეიცარიის ნაკრებთან — 20 აპრილს, ბერნში; ავსტრიის ეროვნულ გუნდთან — 24 აპრილს, ვენაში; ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან — 18 მაისს, პრაღაში; ბელგიის ნაკრებთან — 22 მაისს, ბრიუსელში; საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან — 5 ივნისს, მოსკოვში. საბჭოთა ნაკრები აგრეთვე შეხვდება უცხოეთის საკლუბო გუნდებს.

მოსკოვის „ტორპედო" საბჭოთა ფეხბურთელთაგან პირველი მიიღებს მონაწილეობას ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. თასების მფლობელთა თასის ტურნირში ჩაებმება დედაქალაქის „სპარტაკი".

## აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის

# 4 კანდიდატი და X ადგილი

მძლეოსნობაში საერთაშორისო სარბიელზე ჰეგემონიისთვის ბრძოლა სულ უფრო დაძაბული ხდება. ადრინდელ ფავორიტებს — სსრ კავშირისა და აშშ-ის სპორტსმენებს თავიანთი ძალა აგრძნობინეს არა მარტო ევროპისა და ავსტრალიის მძლეოსნებმა, არამედ აზიისა და აფრიკის წარმომადგენლებმაც, რომლებიც სულ უფრო ხშირად და მწვავედ უტევენ მსოფლიო რეკორდებს.

სსრ კავშირის მძლეოსნების საერთაშორისო მიღწევების შენარჩუნებისა და განმტკიცების, აგრეთვე მომავალ ოლიმპიადაში ტოკიოს მსგავსი მარცხის თავიდან აცილების მიზნით მძლეოსნობის საკავშირო ფედერაციამ დასახა პერსპექტიული გეგმა. მისი ერთი ნაწილი გახლდათ 1948-49 და 1950-51 წლებში დაბადებული ჭაბუკებისა და გოგონების ზამთრის საკავშირო შეჯიბრება, რომელიც მარტის ბოლოს ლენინგრადის მანეჟში გაიმართა.

ორივე ასაკში ყველა სახეობაში გამოვლენილი 3 საუკეთესო ჭაბუკი და 5 გოგონა დებულების თანახმად მექანიკურად ჩაირიცხებოდა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატებად, რომლებიც საერთო გეგმით განაგრძობენ ვარჯიშს და თანატოლთა საერთაშორისო ტურნირებშიც გამოვლენ.

ცხადია, ყოველივე ზემოთქმულმა, აგრეთვე იმანაც, რომ ეს იყო ამ ასაკის სპორტსმენთა I საკავშირო ასპარეზობა, მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია და ბრძოლაც მეტისმეტად გაამწვავა.

ამ ტურნირის მეორე დადებითი მხარე ის გახლდათ, რომ ჩვენ, მწვრთნელებს, საშუალება გვეძლეოდა წელიწადნახევრით ადრე შეგვემოწმებინა აღსაზრდელებისა და მათი მომავალი მეტოქეების ძალები, რაც სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის უკეთესად მზადების საშუალებას მოგვცემს.

1948-49 წლებში დაბადებულთა გუნდში შედიოდა 11 ჭაბუკი და 8 გოგონა, 1950-51 წლებში დაბადებულთა კოლექტივებში კი 5 ჭაბუკი და 4 გოგონა, რომლებსაც შესაბამისად ჰქონდათ არანაკლებ მეორე და მესამეთანრიგოსნის მომზადება. ასპარეზობა ორჭიდში ტარდებოდა, საერთო გუნდურ ჩათვლაში კი ყველა მაჩვენებელი შედიოდა. აქ ჩვენმა ნაკრებმა X ადგილი დაიკავა. თუ უფროსები შედარებით კარგად გამოვიდნენ (გოგონები — VII, ვაჟები — IX), სამაგიეროდ, 1950-51 წლებში დაბადებულებმა თავიანთ უნარზე უარესად იასპარეზეს: გოგონები XIII ადგილით დაკმაყოფილდნენ, ბიჭები კი — XIV. ჩვენს ბიჭებს მხოლოდ თურქმენეთისა და სომხეთის გუნდები ჩამორჩნენ.

უმცროსი ასაკის სპორტსმენთა ეს მაჩვენებლები საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის, და, ცხადია, მწვრთნელების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ყველამ ერთობლივად უნდა ვიზრუნოთ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ვინაიდან ხალხთა სპარტაკიადაში სწორედ ამ ასაკის ბავშვები დაიცავენ მოსწავლეთა გუნდების ინტერესს.

1950-51 წლებში დაბადებულთა პირად ტურნირში დამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ მხოლოდ ქუთაისელი ა. კოზაკი (110 მ თარჯრბენი — 15,9), მახარაძელი თ. ხმელიძე (ბირთვის კვრა — 14,04), თბილისელები თ. რეფერტი და ლ. ზგონიკოვა (80 მ თარჯრბენი — შესაბამისად 12,5 და 12,6). მაგრამ მათაც შეეძლოთ ორჭიდში უკეთესი შედეგების მოპოვება, დამატებით სახეობაში — 60 მეტრზე რბენაში რომ გამოევლინებინათ სპრინტერის თვისებები. სწორედ დამატებით სახეობაში ცუდი მაჩვენებლების გამო ლ. კორკოტაძე, რომელიც 300 მეტრზე რბენის (44,5) შემდეგ XI ადგილზე იყო, ორჭიდში ბოლო ადგილზე დარჩა — 60 მეტრი ძალზე ცუდად (8,3 წამი) გაირბინა. ეს გოგონა საშუალო მანძილებზე კარგი მორბენალი დადგება, თუ სპრინტერის თვისებებს გამოიმუშავებს. მეტს მოველოდით დ. საბაურისგან, რომელიც ბირთვის კვრაში VII იყო (12,55 მ), 60 მ რბენაში კი — ერთ-ერთი უკანასკნელი (9,1). მეტად ცუდი მაჩვენებლები ჰქონდათ ბიჭებს — ა. მოშიაშვილსა და ვ. ვიბლიანს. მოშიაშვილი ბოლო იყო 60 მეტრზე რბენაში, ვიბლიანი კი ძლივს გადახტა 155 სმ სიმაღლეზე და 494 სმ სიგრძეზე. მან ბოლო ადგილი დაიკავა.

როგორც ხედავთ, 1950-51 წლებში დაბადებულთაგან სსრ კავშირის ნაკრებში ჩვენი სპორტსმენებიდან ვერავინ მოხვდა.

უფრო იმედიანი გამოდგა 1948-49 წლებში დაბადებულთა ტურნირი. აქ ოთხმა მძლეოსანმა დაიმკვიდრა ადგილი ნაკრებში. გ. კონონენკომ ორჭიდში (80 მ თარჯრბენი — 11,6 და 60 მ რბენა — 7,5) 1247 ქულა მოაგროვა და 40 ქულით გაასწრო ასპარეზობის II პრიზიორს, ლენინგრადელ ნ. ფილიპოვას. ქებას იმსახურებს ქუთაისელი ჯ. ჩუბინიძეც. სიმაღლეზე მხტომელ გოგონათა ორჭიდში მან ყველას აჯობა სპრინტში (60 მ — 7,9) და სიმაღლეზე ხტომაში ტურნირის II შედეგი (155 სმ) აჩვენა. ჩუბინიძე საბოლოოდ II ადგილზე გავიდა. სპრინტერთა მრავალჭიდში IV იყო ვ. ქუთათელაძე (60 მ — 7,6; 300 მ — 41,2) — 1306 ქულა. თბილისელმა ქალიშვილმა I თანრიგი შეასრულა და ნაკრებში ჩაირიცხა.

ვაჟებიდან მხოლოდ ი. ცანავამ გვასახელა. 1000 მეტრზე რბენაში მან აჩვენა 2.34,5 (II შედეგი), ხოლო 300 მეტრზე — 38,7, რამაც მას საბოლოოდ III ადგილი მოუტანა. ქების ღირსია პერსპექტიული ხაშურელი მ. ქამკოციანი. მართალია, იგი ნაკრებში ვერ მოხვდა, მაგრამ V ადგილი (ბირთვი — 14,86; 60 მ — 7,5) უდავოდ თვალსაჩინო წარმატებაა. თავიანთ ძირითად სახეობებში დამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ აგრეთვე ვ. ჩერნოვი (110 მ თარჯრბენი — 15,4) და ო. ჩახუნაშვილი (სიმაღლე — 185).

სამაგიეროდ, ვერ დაგვაკმაყოფილა ლ. ბალაშოვას, ლ. პაპოკას, ვ. იახშიანის, ვ. სლანოვას, ე. კონდრატიევის, თ. მდინარაძის, [illegible] [illegible] ნაიძის, ე. გარარაევის, მ. ფრიდმანის, ლ. სამხარაძის შედეგებმა.

შეჯიბრებამ გვიჩვენა ჩვენი ზოგიერთი მძლეოსნის მორალური მოუმზადებლობაც.

ამრიგად, ლენინგრადში მკაფიოდ გამოვლინდა ჩვენი რეზერვის ნათელი და ჩრდილოვანი მხარეები. კაცმა რომ თქვას, განა ადრეც არ ვიცოდით, რომ საქართველოს ბევრ ქალაქსა და რაიონში ცუდად ზრუნავენ მძლეოსნობის განვითარებისთვის?! რამდენჯერ უნდა ითქვას, რომ არავინ ფიქრობს ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენისა და აღზრდისთვის?! სწორედ ამიტომაა, რომ რესპუბლიკის ნაკრები გუნდები უმეტესად თბილისში აღზრდილი სპორტსმენებით კომპლექტდება. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება თუნდაც ზემოაღნიშნული შეჯიბრება: საქართველოს ნაკრების 27 წევრიდან 20 თბილისელი იყო.

ჩვენი მწვრთნელების, ფიზაღზრდის მასწავლებელთა გადაუდებელი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი გულისხმიერებით მოვეკიდოთ ნიჭიერი ახალგაზრდების მოძებნა-გამოვლენას, ხოლო შემდეგ, მათს ჩამოყალიბებას. ამ მიზნით ამ დღეებში საქართველოს სპორტკავშირმა შეამოწმა ის ქალაქები და რაიონები, სადაც არის მძლეოსნობის განვითარების პირობები, და ალბათ მალე შესაბამის ღონისძიებებსაც მიიღებს.

**ე. გოკიელი,**
საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.



გ. კონონენკო.

## პირველად — მოზრდილთა შორის

რუსთავის გზატკეცილზე გუშინწინ გაიმართა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ღია პირველობა ველოსპორტში, რომელიც „ველოსპორტის რესპუბლიკური ფედერაციის პრიზის“ ჩათვლაში შედიოდა.

20 კილომეტრზე ქალთა ჯგუფურ რბოლაში პირველი 3 ადგილი დაიკავეს ინსტიტუტის სტუდენტებმა ლ. სტაშევსკაიამ („დინამო“), ს. მიაჩკოვამ და ვ. ჩუგუნოვამ (ორივენი — „ბურევესტნიკი“). მათი შედეგია 31.48,0.

ვაჟთა შეჯიბრებაში 80-ზე მეტი ველოსიპედისტი გამოვიდა. 55-კილომეტრიანი ტრასის დასაწყისში ჯგუფმა დიდი სისწრაფე განავითარა, მაგრამ მე-17 კილომეტრზე ტემპი მკვეთრად დაეცა. ამის მიზეზი იყო გრძელი, მომქანცველი აღმართი, რომელიც ასე თუ ისე წარმატებით 30-მა ველოსიპედისტმა დაძლია. ეს ჯგუფი უცვლელად მივიდა ფინიშთან. საკონტროლო ხაზი ყველაზე ადრე ბურევესტნიკელმა მ. ქანთარიამ (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი) გადაკვეთა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა ვ. ფეტისოვი, ვ. კეხბა, ნ. კლევცოვი, ო. პროკოპენკო და სხვ.

3 ეტაპის ჯამში „ველოსპორტის რესპუბლიკური ფედერაციის პრიზი“ 19 ქულით მოიპოვა თბილისის 117-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა, დინამოელმა ფეტისოვმა (მწვრთნელი ბ. გუკასიანი). ეს ახალგაზრდა სპორტსმენის დიდი წარმატებაა, მით უმეტეს, რომ იგი პირველად გამოდიოდა მოზრდილთა შეჯიბრებაში. ფეტისოვი შეყვანილია სსრ კავშირის ნაკრების (ტრეკზე) კანდიდატთა სიაში.

გამარჯვებულს 1 ქულით ჩამორჩა სპორტის ოსტატი ნ. კლევცოვი (თბილისის ასკ). მომდევნო ადგილები დაიკავეს: მ. ქანთარიამ და ე. მელკოვმა („დინამო“).

გუნდურ ჩათვლაში ქულათა საუკეთესო ჯამი დააგროვეს „დინამოს“ ველოსიპედისტებმა.

**მ. ბარამია.**

### რაიონებში
### [illegible]

**ოჩამჩირე**

სამ დღეს გრძელდებოდა რაიონის სოფლის სკოლების მოსწავლეთა პირველობა მძლეოსნობაში. გამარჯვებისთვის იბრძოდა 14 საშუალო სკოლის 192 ნორჩი სპორტსმენი. საერთო გუნდური პირველობა დაისაკუთრეს ტამიშელმა მოსწავლეებმა (ფიზაღზრდის მასწავლებელი ი. ბალათელია).

**შ. ხოჟავა.**

**ასპინძა**

აქ გაიმართა რაიონის ფრენბურთელ ვაჟთა პირველობა. უძლიერესის სახელი მოიხვეჭა სოფელ ხერთვისის კოლმეურნეობის გუნდმა. II-III ადგილები შესაბამისად დაიკავეს სოფლების ძველისა და დამალის კოლმეურნეობათა ფრენბურთელებმა. დაკომპლექტდა რაიონის ნაკრები, რომელიც სოფლის სპორტსმენთა X რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობისთვის მზადებას შეუდგა.

**ვ. ცინაძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ანგარიშგება-არჩევნები

## მიზანი: მინიმუმამდე დავიყვანოთ ხარვეზები

თბილისში გაიმართა „განთიადის“ V რესპუბლიკური კონფერენცია, რომელშიც 134 დელეგატი მონაწილეობდა. ლაპარაკი იყო იმ მიღწევებზე, რასაც საზოგადოების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა და სპორტსმენებმა საანგარიშო პერიოდში მიაღწიეს, აგრეთვე იმ ხარვეზებზე, რაც ხელს უშლის საქმიანობის უკეთ გაშლას.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბოჭორიძემ.

— „განთიადის“ ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა მნიშვნელოვნად აამაღლეს მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-ტექნიკური მაჩვენებლები, საგრძნობლად გაიზარდა საზოგადოების წევრთა და სექციებში გაერთიანებულ ფიზკულტურელთა რიცხვი, ვადამდე და გადაჭარბებით გავანაღდეთ ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმები. საანგარიშო პერიოდში „განთიადმა“ 48-ის ნაცვლად 87 სპორტის ოსტატი მოამზადა. თავი ისახელეს ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, ტყიბულის, ბორჯომის, გორის, კასპის საბჭოებმა და თბილისის სპორტკლუბების — „გამარჯვების“, „ფეიქრის“, „განთიადის“, აბრეშუმსაქსოვი და ფეხსაცმლის 1-ლი ფაბრიკების, ქუთაისის სპორტკლუბ „კოლხიდის“, ბათუმის გემსაშენი ქარხნისა და სხვა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

საანგარიშო პერიოდში საწარმოო ტანვარჯიში საქართველოს კიდევ 150 საწარმოში დაინერგა, ამაღლდა საგიტაციო-პროპაგანდისტული და სასწავლო-სპორტული მუშაობის დონე, განმტკიცდა საზოგადოების ნაკრები გუნდები, გაიზარდა მათი მაჩვენებლებიც. შარშან განთიადელებმა საქართველოს 10 და ცენტრალური საბჭოს 53 რეკორდი გააუმჯობესეს. 23 განთიადელი სსრ კავშირის ნაკრებში დამკვიდრდა.

საზოგადოების ნაკრები წარმატებით გამოვიდა საქართველოს პროფკავშირთა IV საზაფხულო სპარტაკიადაში და ყველაზე დიდი შევსება მისცა რესპუბლიკის პროფკავშირულ ნაკრებს, რომელიც VIII საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობდა. განთიადელებმა ამ ასპარეზობაში ოქროს 3 და ბრინჯაოს 5 მედალი მოიპოვეს, დაიკავეს 15 სხვა საპრიზო ადგილი.

ჩვენი სპორტსმენების წარმატებას ხელი შეუწყო მწვრთნელების ზ. ჯარაშნელის, გ. წერეთლის, ლ. ძეკონსკის, გ. ღარიბაშვილის, ვ. ბალავაძის, გ. ბაბილოძის და სხვათა ნაყოფიერმა საქმიანობამ. ქების ღირსნი განსაკუთრებით საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე მწვრთნელები — მ. კლდიაშვილი, პენსიონერი მ. კაჭკაჭიშვილი, ნ. პროზოროვი, ი. გომერი, გ. მათიკაშვილი, ე. თვალჭრელიძე და სხვები არიან.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის სამზადისის თაობაზე.

მან აღნიშნა, რომ სახსრები ხშირად უყაირათოდ იხარჯება, ამხილა ნაკლოვანებები, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირად გვხვდება ფიზკულტურის კოლექტივების რაიონული, საქალაქო, საოლქო საბჭოების, გუნდებისა და მწვრთნელების საქმიანობაში. მაგალითად, დღემდე ვერ შეძლეს ყველა ფიზკულტურული კოლექტივის ორგანიზაციული განმტკიცება და მათში სპორტული მუშაობის სათანადოდ გაშლა, — „საქმთავარენერგოს“, ღვინის მე-3, აჭარის შაქრის, მცხეთის ასანთის, კასპის ცემენტის, ზესტაფონის კაბელის ქარხნების, თბილისის სათამაშოების, ლანჩხუთის ჩაის, მარელისის გრეხილი აბრეშუმის ფაბრიკების ფიზკულტურულ კოლექტივებში საბჭოები ცუდად მუშაობენ, სექციები საერთოდ არა აქვთ, რეგულარულად არ სრულდება მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადების გეგმა.

ფიზკულტურის კოლექტივებს უხაქმურობაში არც ზოგიერთი რაიონული საბჭო ჩამორჩა (თელავი, მარნეული, აბაშა, ცხაკაია, მცხეთა, მახარაძე, წყალტუბო). ბევრგან ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გაშლილი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ქალთა შორის.

„განთიადის“ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშით გამოვიდა გ. ჯიბლაძე. შემდეგ დაიწყო კამათი.

ს. კრასიკოვი (რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფიზკულტურის ინსტრუქტორი): ორი წელია ბავშვთა სპორტსკოლის გახსნას მოვითხოვთ, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ვეღირსეთ. ამიტომ სპორტკლუბის სახელი დღემდე ვერ მოვიპოვეთ. სპორტინვენტარის სათადარიგო ნაწილები არა გვაქვს, სათანადო დონემდე ვერ ავამაღლეთ საწარმოო ტანვარჯიში, არ ტარდება მშრომელთა სხვა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.

ა. ივანოვა (სპორტის ოსტატი): თბილისში „განთიადის“ კორტები მოუვლელია, არა აქვს გასახდელები, შხაპი... ერთი სიტყვით, ვარჯიშის სურვილი დაეკარგება კაცს. იშვიათად ეწყობა შეჯიბრებები ჩოგბურთში, რაც საგრძნობლად აფერხებს ამ სახეობის შემდგომ განვითარებას.

შ. მამინაშვილი (აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე): „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს სპორტღონისძიებათა კალენდარი უსისტემოდაა შედგენილი. ბათუმში, მაგალითად, მხოლოდ 1 ღონისძიებაა დაგეგმილი. ცენტრალური საბჭო უნდა დაგვეხმაროს წყალჯომარდობის სადგურის მოწყობაში.

ბ. კოვალიოვი (ცენტრალური საბჭოს აგიტაცია-პროპაგანდის სექციის თავმჯდომარე): ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებას ისიც აფერხებს, რომ სათანადო სამკერდე ნიშნები არა გვაქვს. ნიშნები კი სპორტის აგიტაციის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა.

* * *

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე, აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ შ. ლომინაძემ, კვების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანმა თ. სანაკოევამ, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ბ. დვალმა და სხვ.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე ბ. ელისეევი, რომელმაც ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისთვის „განთიადის“ ცენტრალურ საბჭოს მეხუთედ გადასცა საკავშირო საბჭოს გარდამავალი დროშა.

ჩატარდა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები. კენჭი უყარეს საქართველოს სპორტკავშირის III კონფერენციის დელეგატებს. გაიმართა ახალარჩეული საბჭოს პირველი პლენუმი, რომელმაც „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ი. ბოჭორიძე აირჩია, მოადგილედ კი — ვ. გოდერძიშვილი.

## დაუდგრომელი ხასიათი

უკვე მრავალი წელია „სპარტაკის“ აჭარის საოლქო საბჭოს ფრენბურთელ ქალთა სექციას საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობს ლეილა კაკაბაძე. სპორტის ამ სახეობის დიდი მოყვარული, თავის დროზე რუსეთისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებში თამაშობდა, ახლა კი მთელ თავისუფალ დროს აღსაზრდელებთან ატარებს. უანგარო შრომას ნაყოფიც მოაქვს — სპარტაკელი ფრენბურთელები არაერთხელ ყოფილან აჭარის ჩემპიონები და ეს ტიტული წლევანდელ სეზონშიც არავის დაუთმეს. კაკაბაძის აღზრდილთაგან ბევრმა დიდი სპორტის სარბიელზე შედგა ფეხი.

...სასადილოების ტრესტის თანამშრომელმა ე. საველიევამ ფრენბურთის სექციაში მეცადინეობა ლეილას რჩევით დაიწყო. ახალბედამ მალე გაუგო გემო სპორტს და ასევე სწრაფად მიიწევდა წინ ოსტატობის კიბეზე. ახლა კი უკვე პირველთანრიგოსანი ფრენბურთელი აჭარის ნაკრებისა და „სპარტაკის“ გუნდის წევრი.

ლ. კაკაბაძეს მუშაობის პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა ცოტა როდი ჰქონია. მან საწარმო-დაწესებულებათა ბევრ მუშაკს გაუხსნა გზა სპორტული სარბიელისკენ. საქართველოს ნაკრების წევრები გ. ქლენტი და ვ. მდინარაძე; აჭარის ნაკრების წევრები თ. ხაზაროვა და დ. შენგელია... აი, მათი არასრული სია.

ასეთია საზოგადოებრივი მწვრთნელი ლ. კაკაბაძე — დაუდგრომელი ხასიათისა და თავის საქმეში უზომოდ შეყვარებული.

**ი. ბერძენიშვილი.**
ბათუმი.

- ილბალიც ამას ჰქვია!
- „რაპიდის“ სერიოზული ზრახვები
- გენერალური რეპეტიცია
- დასკვნითი აკორდი

## ტელეტაიპის სტრიქონები

10 აპრილი

✦ ბუქარესტი. სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა ერთ დღეში აქ მარცხის სიმწარეც განიცადა და სიხარულის გრძნობაც. კიშინიოვში მოგებული (1:0) თამაშის შემდეგ მან უეფა-ს ტურნირის განმეორებითი შესარჩევი მატჩი ასეთივე ანგარიშით წააგო რუმინელ თანატოლებთან. და აი, საქმეში ჩაერია... კენჭისყრა, რომელიც სტუმრებისთვის გამოდგა იღბლიანი: ისინი გავიდნენ გათამაშების ფინალში. დასკვნითი შეხვედრები გაიმართება 20–30 მაისს იუგოსლავიაში.

✦ მოსკოვი. სამ საათზე მეტს გაგრძელდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი ცსკა-სა და ბუქარესტის „რაპიდის“ ფრენბურთელ ქალთა შორის. გამარჯვება თასის ახლანდელ [illegible] — „რაპიდის“ სპორტსმენებმა — 3:2 (13:15, 15:9, 15:13, 14:16, 15:8).

✦ სოჭი. საბჭოთა კავშირის საუკეთესო ველოსიპედისტები გაცხოველებით ემზადებიან მშვიდობის XIX ტრადიციული ველორბოლისთვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აქ მიმდინარე მრავალდღიანი შესარჩევი რბოლაც. მისი I ეტაპი (144 კმ) მოიგო ლენინგრადელმა ა. პეტროვმა — 3:31.00.

✦ მურმანსკი. სათხილამურო სეზონის ბოლო შეჯიბრება — 70 კილომეტრზე რბოლა მოიგო კალინინელმა ნ. ლიპაშოვამ (4:12.18). მან მოიგო სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი.



# დასაწყისი საიმედოა!

„ა“ ჯგუფი I ჯგუფი

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 10 აპრილი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 2:0 (2:0).

**თბილისი:** ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, ხუციშვილი (ასათიანი), მაისურაძე, იამანიძე, დათუნაშვილი.

**მოსკოვი:** რაკიტსკი, ივანოვი, მუდრიკი, გლოტოვი, მასლოვი, ანიჩკინი, დუდკო (ვოტოლოვსკი), გუსაროვი, ავრუცკი, კოროლენკოვი, ვშივცევი.

მსაჯი კ. ანძიულისი (კაუნასი).

მატჩის არბიტრმა კ. ანძიულისმა (კაუნასი) მხარეთა გათამაშებისთვის მინდვრის ცენტრში მიიწვია გუნდების კაპიტნები შ. იამანიძე (თბილისი) და ვ. ანიჩკინი (მოსკოვი).

დაიწყო თამაში. ჩვენი ფოტოკორესპონდენტის მ. ზარგარიანის მიერ გადაღებულ შემდგომ „კინოკადრებზე“ თქვენ ხედავთ მიმდინარე ჩემპიონატის ამ პირველი თამაშის საინტერესო მომენტებს.













საგაზაფხულო ფეხბურთის რეცენზიებში მკითხველი, როგორც წესი, კარგს ბევრს ვერაფერს წაიკითხავს. სეზონის ამ ეტაპზე მოთამაშეები არ არიან სრულ ფორმაში, მოისუსტებს ფიზიკური მომზადება, ხშირია ლაფსუსები ტექნიკური ილეთების შესრულებისას, სათანადო სიზუსტით ვერ ხორციელდება ტაქტიკური ხასიათის გათამაშებანი, გუნდის შემადგენლობა ჯერ კიდევ შორსაა სტაბილურისგან და ა. შ. ერთი სიტყვით, ესაა დაწყებითი ფეხბურთი მთელი თავისი საგაზაფხულო ნიშნებით.

აი, ასეთი „ნაადრევი“ ფეხბურთი გვიჩვენა მოსკოვის „დინამოს“ განთქმულმა კოლექტივმა. როგორიც უნდა იყოს მაყურებლის სიმპათიები ამ პოპულარული გუნდისადმი, კომპლიმენტებს ამჯერად იგი ვერ იმსახურებს. ორიოდე „თბილი“ სიტყვის ღირსნი თუ არიან მასლოვი, კოროლენკოვი, შეიძლება — რაკიტსკიც. დანარჩენები?-დანარჩენები ფეხბურთის ლექსიკონით რომ ვილაპარაკოთ, არ ჩანდნენ მინდორზე. არ ჩანდა, საერთოდ, ის მოსკოვის „დინამო“, რომლის სიძლიერე და კლასი ხშირად გვინახავს ჩვენს სტადიონზე.

რაშია საქმე? გაზაფხული განა მარტო მოსკოვის დინამოელთათვისაა? ან განა მარტო სტუმრებს აკლდათ მოწინავე მოთამაშეები? თბილისის „დინამოს“ დანაკლისი 10 აპრილს ამ მხრივ ხომ მეტი იყო, ვიდრე მისი ტრადიციული მეტოქისა.

ყველაფერი გადაწყვიტა დებიუტმა. თბილისელებმა ისეთ ტემპში, ისეთი სიმძლავრით დაიწყეს თამაში, შეტევას ისეთი ფრონტალური ხასიათი ჰქონდა (მოიერიშე ძალების ხშირი ცვლით და ნახევარმცველთა ძალიან აქტიური მხარდაჭერით), რომ სტუმრების დაცვის ბასტიონები პირველივე წუთებზე შეირყა, აირია და ტაიმი ისე დასრულდა, კონტრშეტევის რამდენადმე სერიოზული ორგანიზება გუნდმა ვერც კი შეძლო. საამისოდ მას არც დრო ჰქონდა, არც ძალები.

პირველი 5 წუთის განმავლობაში ბურთი თითქმის არც ერთხელ არ გადმოსულა თბილისელთა ნახევარზე. არ გამოჩენილან სტუმრების ფორვარდები ჩვენს საჯარიმო მოედანზე მეორე 5 წუთშიც, მესამეშიც, მეოთხეშიც... მთელი თამაში მიმდინარეობდა მოსკოველთა ნახევარზე. არა მარტო თავდამსხმელები და ნახევარმცველები, მასპინძელთა მცველებიც კი სულ უფრო და უფრო მეთოდურად უახლოვდებოდნენ მოპირდაპირე კარს. ტემპი, ტემპი... უტევდა ყველა. უკლებლივ!

ცხადი იყო, მოსკოველები ვერ გადაურჩებოდნენ გოლს და მათი კარი (მართალია, ოდნავი მოგვიანებით) აღებულ იქნა კიდეც. დათუნაშვილის მიერ მიწოდებული კუთხური ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა ივანოვმა, ჩვენმა მარცხენა გარემარბმა დაბლა გაუგორა ბურთი იამანიძეს და ამ უკანასკნელმა ზუსტად დაამთავრა ეს მწვავე შეტევა — 1:0.

ასეთი უპირატესობა და მხოლოდ 1 გოლი როგორღაც არ ეხამებოდა ერთმანეთს. გამარჯვებას განმტკიცება ესაჭიროებოდა და მისი, ასე ვთქვათ, სრული გარანტია მოვიდა ასათიანის მიერ გატანილი ბურთის სახით: დებიუტანტმა მაღალ ნახტომში თავით მიიღო ილიადის გადაცემა, მკვეთრად დაარტყა და როგორც რაკიტსკი, ისე მის მახლობლად განლაგებული მცველები, უძლურნი იყვნენ მოევერიებინათ ბურთი — 2:0.

პირველი ტაიმი თბილისელთა შესრულებით საუცხოო იყო. გუნდის ყოველი წევრი ამ 45 წუთისთვის უმაღლესი ნიშნის ღირსია!

გაცილებით უფრო მოკრძალებულია ჩვენი შეფასებანი მეორე 45 წუთისთვის. როგორღაც უცებ იკლო საერთო ტონუსმა, ტემპმა, მოთამაშეთა მონდომებამ, თავდასხმაში სულ უფრო ხშირად ჩანდა ფუჭი სვლები და გადამწყვეტი სიტყვა მიდგა თბილისელთა დაცვაზე. აქ უპირველესი მადლობა ეთქმით ხურცილავას და ცხოვრებოვს; ამას გარდა, ძალზე ძნელი ბურთის აღება მოუხდა ურუშაძეს (ვოტოლოვსკის დარტყმა).

ჩემპიონატის პირველ მატჩში თბილისის „დინამომ“ აჩვენა კარგი მომზადება და მაღალი ბრძოლისუნარიანობა.

დასაწყისი საიმედოა!

ბ. ქორქია.

# შეტევა და... მარცხი

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 10 აპრილი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 1:3 (1:3).

**„ტორპედო“:** კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, წვერავა, ზარია, კუტივაძე, ასიტაშვილი, ვეკუა, ერქომაიშვილი (ნოდია), ხაჟალია, ხერხაძე.

**„სპარტაკი“:** მასლაჩენკო, პეტროვი, დიკარევი, კორნეევი, კრუტიკოვი, ამბარცუმიანი, ლოგოფეტი, პრიხილოვი (გოლდუბოვი), ოსიანინი, სიომინი, რეინგოლდი.

მსაჯი ნ. პოდშივალენკო (მოგილიოვი).

ქუთაისელთა გუნდის მიერ ჩატარებული წინასასეზონო ეტაპი, მათ მიერ მაღალ დონეზე ნათამაშევი საკონტროლო მატჩები საფუძველს გვაძლევდა გვეფიქრა, რომ ასეთივე კარგი იქნებოდა ოფიციალური გათამაშების დასაწყისი ისეთ ძლიერ მეტოქესთანაც კი, როგორიცაა მოსკოვის „სპარტაკი“.

მაგრამ, ეტყობა, საწვრთნელი თამაში ერთია, ხოლო კალენდარული მატჩი — სხვა. ტორპედოელებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, შეხვედრის განმავლობაში კი მისი ღირსეული რეალიზაცია გუნდმა ვერ შეძლო. შესამჩნევი იყო თავდამსხმელთა ნერვიულობა შეტევის გადამწყვეტ ფაზაში, შეცდომებს უშვებდნენ მცველები. გარდა ამისა, სპარტაკელთა დაცვის რაციონალური თამაშის წინააღმდეგ მასპინძლებმა ვერ შეძლეს სათანადო იარაღის გამოძებნა.

მატჩი სულ ახალი დაწყებული იყო, როცა ხაჟალიამ უაღრესად ხელსაყრელ ვითარებაში ვერ მიუსწრო მაღალ ბურთს და დაკარგა ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა. ამას მოყვა სტუმრების სწრაფი გარღვევა და სიომინმა ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

საჭირო იყო გაშვებული გოლის სწრაფი გაქვითვა და ეს შანსი ტორპედოელებს მიეცათ სულ მალე, მე-12 წუთზე, როცა ლოსაბერიძის გადაცემის შემდეგ სპარტაკელთა კარის წინ აღმოჩნდა ერქომაიშვილი. ქუთაისელმა ფეხბურთელმა ვერ შეძლო ამ მომენტის გამოყენება. გავიდა მცირე ხანი და მასლაჩენკოს პირისპირ გავიდა ხაჟალია. გამოცდილ ფორვარდს შეეძლო ამ ორთაბრძოლის მოგება, მაგრამ უპირატესობა მეკარეს დარჩა.

ასეთ ვითარებაში მოსკოველთა თამაშს მეტი დამაჯერებლობა მიეცა და 24-ე წუთზე პრიხილოვმა შორი დარტყმით წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:0.

ქუთაისელებმა კიდევ ერთხელ სცადეს გენერალურ შტურმზე გადასვლა და კუტივაძე — ასიტაშვილის კომბინაციის შედეგად გაქვითულ იქნა 1 გოლი. ვინ იცის, როგორი იქნებოდა მატჩის შემდგომი მსვლელობა და საბოლოო შედეგიც, რომ „ტორპედოს“ მცველებს შეცდომა არ დაეშვათ ტაიმის ბოლო წუთზე. ამით კარგად ისარგებლა ოსიანინმა და მესამე ბურთი გაგზავნა ქუთაისელთა კარში.

შესვენების შემდეგ მოსკოველებმა გააძლიერეს დაცვითი ხაზები და, ტორპედოელთა ხშირი იერიშების მიუხედავად, შეინარჩუნეს გამარჯვება.

აღსანიშნავია, რომ არასპორტული საქციელისთვის მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ლოგოფეტი და ხერხაძე.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ქუთაისელ ფეხბურთელთა მორიგი უნაყოფო შეტევა „სპარტაკის“ კარზე. მოსკოველთა მცველები იგერიებენ ბურთს.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.



## „ა“ კლასი I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

### ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 12 აპრილისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 1 | 1 | 0 | 0 | 4—0 | 2 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 1 | 1 | 0 | 0 | 3—1 | 2 |
| „დინამო“ (თბილისი) | 1 | 1 | 0 | 0 | 2—0 | 2 |
| ასკ (როსტოვი) | 1 | 1 | 0 | 0 | 2—0 | 2 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 1 | 1 | 0 | 0 | 1—0 | 2 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 1 | 0 | 1 | 0 | 1—1 | 1 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 1 | 0 | 1 | 0 | 1—1 | 1 |
| ცსკა | 1 | 0 | 1 | 0 | 0—0 | 1 |
| „დინამო“ (მინსკი) | 1 | 0 | 1 | 0 | 0—0 | 1 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 1 | 0 | 1 | 0 | 0—0 | 1 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 1 | 0 | 1 | 0 | 0—0 | 1 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 1 | 0 | 1 | 0 | 0—0 | 1 |
| „არარატი“ (ერევანი) | 1 | 0 | 1 | 0 | 0—0 | 1 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 1 | 0 | 0 | 1 | 0—1 | 0 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 1 | 0 | 0 | 1 | 0—2 | 0 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 1 | 0 | 0 | 1 | 0—2 | 0 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 1 | 0 | 0 | 1 | 1—3 | 0 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 1 | 0 | 0 | 1 | 0—4 | 0 |
| ასკ (ოდესა) | — | — | — | — | — | — |

# სტუმრები ხელბურთის სამშობლოდან

დღეს თბილისის სპორტის სასახლე მასპინძლობას უწევს დანიელ ხელბურთელებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სამდღიან საერთაშორისო ტურნირში და დამატებით ერთ მატჩს გამართავენ საბჭოთა ნაკრებთან (15 აპრილს). მაყურებელი განსაკუთრებული ინტერესით ელის მათ თამაშს, ვინაიდან ხელბურთი სწორედ დანიიდან გავრცელდა მთელს მსოფლიოში.

ჩვენი სტუმრები უცვლელი მონაწილენი არიან მსოფლიო ჩემპიონატებისა და ყოველთვის გამოირჩეოდნენ, როგორც მაღალი კლასის სპორტსმენები მათ თამაშს დახვეწილი ტექნიკა და მაღალკვალიფიციური ტაქტიკა ახასიათებს. დანიელთა ანგარიშზეა 140 საერთაშორისო მატჩი, რომელთაგან ნახევარზე მეტი მათი გამარჯვებით დასრულდა. დანიის ნაკრებმა წლეულსაც მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის საგზური, ხოლო, როცა ფინალისტთა კენჭისყრა ჩატარდა, დანიელებს შედარებით იოლი მეტოქეები შეხვდათ. ერთადერთი, ვისგანაც ისინი საფრთხეს უნდა ელოდნენ, ჩეხოსლოვაკიის ნაკრებია (სსრ კავშირის ნაკრებთან კი რუმინეთის, კანადისა და გდრ-ის სპორტსმენები ითამაშებენ. რუმინეთისა და გდრ-ის ხელბურთელები ყველა გუნდისთვის საშიში მეტოქეები არიან).

საბჭოთა ხელბურთელები დანიის ეროვნულ ნაკრებს დღეს პირველად მასპინძლობენ. მანამდე სსრ კავშირში მხოლოდ დანიის მუშათა პროფკავშირული კოლექტივების მოთამაშეთა ნაკრები ყოფილა. საზღვარგარეთ სსრ კავშირის ნაკრები დანიის ეროვნულ გუნდს სამჯერ შეხვდა. პირველი მატჩი მათ შორის 1964 წელს გაიმართა პრაღაში, V მსოფლიო ჩემპიონატზე. გამარჯვება ჩვენებს დარჩათ — 17:14. 1965 წლის დეკემბერში დანიელები და საბჭოთა ხელბურთელები ერთმანეთს ორხუსსა და კოპენჰაგენში შეხვდნენ. პირველი მატჩი წავაგეთ (14:15), მეორე კი ფრედ დამთავრდა (16:16). ჩვენი გუნდიდან ამ სამ მატჩში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს ჯ. ცერცვაძემ (16) და ვ. ზელენოვმა (11). ამ 3 მატჩის საერთო ბალანსია 47:45 საბჭოთა ხელბურთელების სასარგებლოდ.

დანიის ნაკრებში ამჟამად ბევრი გამოცდილი მოთამაშეა. დავასახელოთ, თუნდაც, ევროპაში დიდად ცნობილი ხელბურთელი მ. კრამერი (№ 5). მან თავისი ნაკრების ღირსება 88-ჯერ დაიცვა და 152 გოლი გაიტანა. ახალგაზრდა და ნიჭიერი ბომბარდირი ი. პეტერსენი (№ 10) 3 წელია ნაკრებში თამაშობს. მან 30 საერთაშორისო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 128 გოლი გაიტანა. თბილისის სპორტის სასახლეში იხილავთ: მეკარეებს — ე. ჰოლსტს (№ 1), გ. ლაიფსა (№ 11) და მ. პედერსენს (№ 16). პირველმა 48 საერთაშორისო მატჩი ჩაატარა, მეორემ — 45, ხოლო მესამემ — 21; მოედნის მოთამაშეებს — ა. ანდერსენს (№ 2, ჩაატარა 18 მატჩი და 24 გოლი გაიტანა), გ. ანდერსენს (№ 3, 49 და 34), ი. კრისტიანსენს (№ 4, 34 და 28), ო. ეილერსტენს (№ 6, 9 და 13), [illegible] (№ 7, 20 და 32), ჰ. მელერს (№ 8, 4 და 3), მ. ნილსენს (№ 9, 43 და 69), ო. შანდხოის (№ 12, 31 და 48), ვ. გაარდსა (№ 13, ნაკრებში პირველად თამაშობს) და ი. ვოდსგარდს (№ 14, 23 და 32). დანიელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელია გ. პეტერსენი, სპორტულ დელეგაციას ხელმძღვანელობს ა. ამი, რომელსაც დანიის ხელბურთის ფედერაციაში თავმჯდომარის მოადგილის პოსტი უკავია და ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკური კომისიის წევრი გახლავთ.

თბილისის ტურნირში დანიელებს გარდა მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის I და ახალგაზრდული, აგრეთვე, საქართველოს ნაკრები გუნდები.

**ნ. სუსლოვი,**
სსრ კავშირის ხელბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.



მოტოსპორტში კენიის ჩემპიონს ჯეკ სიმონიანს ნაკუროს (ნაირობის მახლობლად) ტრეკზე გამართული მოტორბოლის დროს განსაცვიფრებელი „ნახტომის" გაკეთება მოუხდა. ნახტომი სიმონიანისთვის უცხო ხილი არ გახლავთ: იგი ხომ ბალახის ჰოკეიში კენიის ნაკრები გუნდის კარსაც იცავს!

მაგრამ ამჯერად, მართლაც საოცარი იყო, რომ მოტომრბოლელი უვნებლად გადარჩა. უფრო მეტიც: მან მანქანა შეაკეთა და რბოლა განაგრძო.

ფოტო „ასოშიეიტედ პრესისა".

▲ პეკინი. ჩინელი სტუდენტი, 23 წლის ნი ჩჟი ცინი სიმაღლეზე გადახტა 223 სანტიმეტრზე, რაც მსოფლიოში საუკეთესო შედეგია წლეულს.

▲ პერტი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატში გ. ნოკმა ავსტრალიის ახალი რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე თარჯრბენში — 49,7. აღსანიშნავია აგრეთვე ნორმანის მაჩვენებელი 200 მეტრზე რბენაში — 20,9.

▲ რომი. სამხრეთაფრიკელმა მოცურავე ქალმა კ. მიუირმა 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში აჩვენა 2.28,8 (საუკეთესო შედეგი წლეულს მსოფლიოში).

▲ დორტმუნდი. იააფ-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის მძლეოსანთა I მატჩი მოეწყოს გაისად 8-9 აგვისტოს მონრეალში (კანადა).

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

## 15 წლის შემდეგ

ესპანეთის ჩემპიონის ტიტული 15-წლიანი ინტერვალის შემდეგ მოიპოვა მადრიდის „ატლეტიკომ". გუნდის ამ წარმატებას დაემთხვა ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტიც — სექტემბერში გაიხსნება კლუბის ახალი სტადიონი 100 ათასი მაყურებლის ტევადობით.

რას წარმოადგენს ესპანეთის ახალი ჩემპიონი? კლუბი 30-ანი წლების დასასრულს დაარსდა და დასავლური სპორტული პრესის აზრით, „ატლეტიკო" სწორედ ის გუნდია, რომლის მიხედვითაც შეიძლება მსჯელობა, საერთოდ, დღევანდელ ესპანურ ფეხბურთზე.

თავდასხმის ხაზი პირველხარისხოვანია. მარჯვენა გარემარბი გახლავთ ბრაზილიის „ფლამენგოში" აღზრდილი უფარტე. მარცხენა ფრთაზე თამაშობს ცნობილი გარემარბი კოლარი. ცენტრში მოთამაშე ადელარდომ (ნაკრების წევრი) თავი გამოიჩინა ჯერ კიდევ ჩილიში. ცენტრში აგრეთვე მოქმედებს 21 წლის მოზამბიკელი ზანგი მენდოსა, უაღრესად სახიფათო ფორვარდი. შედეგიანობით გამოირჩევა ლუისი (ნაკრების წევრი). ნახევარმცველები გლარია (ნაკრების წევრი), სოსა და გვიანელი ზანგი ჯონსი არასტაბილური ფეხბურთელები არიან. მინდვრის შუაგულს ისინი ზოგჯერ მეტოქეს უთმობენ და ასეთ შემთხვევებში „ატლეტიკო", როგორც წესი, აგებს.

გუნდის ყველაზე სუსტი რგოლია დაცვა. „ატლეტიკოს" მცველები ნაკლებად ეხმარებიან თავდასხმას და მათ მიერ მოგერიებული ბურთი ხშირად მეტოქის ნადავლად იქცევა ხოლმე. რაც შეეხება მეკარეებს, არგენტინელი ვეტერანი მადინაბეიტია და ახალგაზრდა როდრიგესი, პრესის აზრით, თავისი საქმის ოსტატები არიან.

ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობა აპირებს გუნდის გაძლიერებას ნაყიდი „ვარსკვლავებით". კლუბის პრეზიდენტი ვ. კალდერონი საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებს მილანის „ინტერნაციონალეს" მწვრთნელ ე. ერერასთან, რომელსაც დიდ თანხას პირდება.

აი, ესპანეთის ჩემპიონატის გათამაშების საბოლოო ცხრილი.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ატლეტიკო" (მადრ.) | 30 | 54:20 | 44 |
| „რეალი" (მადრიდი) | 30 | 52:30 | 43 |
| „ფკ ბარსელონა" | 30 | 51:26 | 38 |
| „რეალ-სარაგოსა" | 30 | 55:29 | 36 |
| „ატლეტიკო" (ბილბ.) | 30 | 43:42 | 34 |
| „ფკ ელჩე" | 30 | 33:38 | 32 |
| „პონტევედრა" | 30 | 31:34 | 31 |
| „ფკ ვალენსია" | 30 | 39:29 | 27 |
| „ფკ სევილია" | 30 | 26:39 | 27 |
| „ლას-პალმასი" | 30 | 34:39 | 26 |
| „ფკ კორდოვა" | 30 | 34:43 | 25 |
| „ესპანიოლი" (ბარს.) | 30 | 31:46 | 24 |
| „მალაგა" | 30 | 24:37 | 24 |
| „საბადელი" | 30 | 26:45 | 23 |
| „მაიორკა" | 30 | 40:55 | 23 |
| „ბეტისი" (სევილია) | 30 | 27:48 | 23 |

## მანჩესტერელთა მარცხი

ინგლისის ჩემპიონატის მორიგ ტურში საკუთარ მინდორზე დამარცხდა „მანჩესტერ იუნაიტედი". 24-ე და 26-ე წუთებზე „ლესტერ-სიტის" მარცხენა გარემარბმა სტრინგფელოუმ თავისი გუნდი საგრძნობლად დააწინაურა — 2:0. შესვენების შემდეგ კონელიმ შეძლო მხოლოდ 1 ბურთის გაქვითვა და გამარჯვება სტუმრებს დარჩათ — 2:1.

ნორთჰემპტონში „ლივერპულმა" ფრედ ითამაშა „ნორთჰემპტონთან" — 0:0. ლონდონის გუნდების — „ჩელსისა" და „ვესტ ჰემ იუნაიტედის" მატჩში გაიმარჯვა „ჩელსიმ" — 6:2.

აი, ტურის დანარჩენი შედეგები: „ტოტენჰემ ჰოტსპური" — „შეფილდ უენსდეი" 1:1, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" — „ბლეკპული" 2:1, „ევერტონი" — „შეფილდ იუნაიტედი" 1:3, „ბერნლი" — „სანდერლენდი" 1:0, „სტოკ-სიტი" — „ასტონ ვილა" 2:0, „ნიუკასლ იუნაიტედი" — „ბლეკბერნ როვერსი" 2:1.

გათამაშებას 55 ქულით ლიდერობს „ლივერპული". II ადგილზეა „ბერნლი" — 47 ქულა, III — „ლიდს იუნაიტედი" — 46. „ჩელსის" და „მანჩესტერ იუნაიტედს" 42-42 ქულა აქვთ.

(საქ. ინფ.).

## 3 ფრე

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატის სამივე ლიდერმა მორიგ ტურში მხოლოდ თითო ქულა მოიპოვა: დორტმუნდის „ბორუსიამ" ფრედ ითამაშა „კაიზერსლაუტერნთან" (0:0), „მიუნჰენ 1860"-მა ასევე ფრედ დაამთავრა მატჩი „აინტრახტთან" (1:1), ხოლო მიუნჰენის „ბაიერნმა" — „ფკ ნიურნბერგთან" (2:0).

აი, ლიდერთა ხუთეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ბორუსია" (დორტმ.) | 28 | 61:25 | 43 |
| „ბაიერნი" (მიუნჰენი) | 28 | 63:29 | 41 |
| „მიუნჰენ 1860" | 27 | 56:32 | 39 |
| „ფკ კიოლნი" | 28 | 58:31 | 37 |
| „ვერდერი" (ბრემენი) | 28 | 60:36 | 35 |

## „სელტიკი" შოტლანდიაში

შოტლანდიის ჩემპიონატში „სელტიკმა" საკუთარ მინდორზე მოუგო „სენტ-მირენს" — 5:0. მისი მეტოქე „გლაზგო რეინჯერსიც" შინ თამაშობდა და დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა „აბერდინი" — 1:0.

აღსანიშნავია, რომ 23 აპრილს გლაზგოს „ჰემპდენ-პარკის" მინდორზე შედგება შოტლანდიის თასის ფინალი „სელტიკსა" და „გლაზგო რეინჯერსს" შორის.

ჩემპიონატის ლიდერთა სამეული დღეისთვის ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სელტიკი" | 29 | 98:20 | 48 |
| „გლაზგო რეინჯერსი" | 28 | 75:26 | 48 |
| „კილმარნოკი" | 30 | 68:43 | 39 |

(საქ. ინფ.).

## რამდენიმე სტრიქონით

● ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ჭაბუკთა ნაკრები გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ უეფა-ს ტურნირის შესარჩევ მატჩში. გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა — 1:0.

● საფრანგეთის თასის ნახევარფინალში გავიდნენ „ტულუზა", „ნანტი", „ანჟე" და „სტრასბურგი".

● არგენტინის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პროგრამით ამხანაგური მატჩი ჩაატარა „აინტრახტთან" (გფრ). გაიმარჯვეს არგენტინელებმა — 4:2.

● ბრაზილიაში, როგორც წესი, იმართება რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულუს შტატების უძლიერესი გუნდების ტურნირი, რომელმაც უნდა გამოავლინოს ამ ქვეყნის ჩემპიონი. მოხდა საოცარი რამ: „ბოტაფოგომ", „ვასკო და გამამ", „კორინტიანსმა" და „სანტოსმა" დააგროვეს ქულათა თანაბარი რაოდენობა და ამიტომ ყველა ეს გუნდი ერთად იქნა გამოცხადებული ჩემპიონებად.

ფეხბურთი

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული ბაზაზე

**ფეხბურთი.** „ბოროევსტნიკის" სტადიონი. 12 აპრილი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი (II ჯგუფი). „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს. 45 წ.

**ხელბურთი.** სპორტის სასახლე. 12-15 აპრილი. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. დღეს ერთმანეთს ხვდებიან: 19 ს. სსრ კავშირი I — საქართველო. 20 ს. 30 წ. სსრ კავშირი II — დანია.

**მძლეოსნობა.** „დინამოს" სტადიონი. 12 აპრილი. სამატჩო შეხვედრა თბილისი — ბათუმი — სოხუმი — ქუთაისი — გორი — რუსთავი. დასაწყისი 16 ს.

## დღეს

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" თბილისის ორგანიზაცია ი. ჭავჭავაძის სახელობის მედმუშაკთა კულტურის სახლის სააქტო დარბაზში (რუსთაველის პრ. № 2) აწყობს სპორტული მიმომხილველის იური ვანიატის საჯარო ლექციას თემაზე:

**ფეხბურთი 1966 წელს.**

დასაწყისი 20 საათზე.

ლექციის შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოფილმი ფეხბურთზე.

ბილეთები გაიყიდება საზოგადოება „ცოდნის" თბილისის ორგანიზაციაში (ლენინის ქ. № 35), ხოლო ლექციის წინ — კულტსახლის სალაროში. კოლექტიური განაცხადები მიიღება ტელეფონით: 3-18-46, 3-10-53, 9-76-74.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05910